ფაქტობრივი გარემოებები

- საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში გათვალისწინებული არ აქვს ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯები.
- ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინების შემთხვევაში, საწარმოს დაუდგინდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების გაზრდა და საქონლის რეალიზაცია თვითღირებულებაზე დაბალ ფასში.

შეფასება

- თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზებული საქონელი 2011 წლამდე მოქმედი სსკ-ის 210-ე მუხლის მიხედვით, უნდა შეფასდეს საბაზრო ფასით მიწოდებად, ხოლო საბაზრო ფასი უნდა განისაზღვროს სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად.
- უნდა დაკორექტირდეს ერთობლივი შემოსავალი და გადაანგარიშდეს არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება.

ღონისძიებები

- უნდა დაკორექტირდეს საწარმოს ერთობლივი შემოსავალი – გადაანგარიშდეს რეალიზებული საქონლის საბაზრო ღირებულებითა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაკორექტირებული ღირებულების თანხით.
- შესაბამის შემთხვევაში, საწარმოს დაეკისრება მოგების გადასახადი.
- საწარმო, დეკლარაციაში თანხის შემცირების შემთხვევაში, დაჯარიმდება, სსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება 2011 წლამდე საგადასახადო პერიოდებზე*